N 142 30/09/2015

ოქმი #25
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს მორიგი სხდომის

2015 წელი, 30 სექტემბერი
ქ. ოზურგეთი
15.00 – 17.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები: დ. კვერღელიძე, ლ. საჯაია, გ. კილაძე, თ. ბურჭულაძე, ვ. ვადაჭკორია, ა. გოგოძე,გორდელაძე, დ. ჭაკნელიძე.
საზოგადოებრივი დარბაზის წევრები-ი. პაპავა და ლ.ხინთიბიძე, ზ. ერაძე.
მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატისა და გამგეობის პასუხისმგებელი მუშაკები.

სხდომის თავმჯდომარე დ. დარჩია მიესალმა ბიუროს წევრებს და გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 2 აგვისტოს N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

მომხს: დ. დარჩია
თანამომხს: დ.კვერღელიძე

2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 2 აგვისტოს № 1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

მომხს: დ. დარჩია
თანამომხს: დ.კვერღელიძე

3. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ ამომრჩევლებისათვის ყოველკვარტალურად წარსადგენი ანგარიშის ფორმის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხს: დ. დარჩია
თანამომხს: დ.კვეღელიძე

4. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული უძრავი და მოძრავი საპრივატიზაციო ქონების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.
მომხს: დ. დარჩია
თანამომხს: დ. ჭაკნელიძე

5. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2015 წლის 14 სექტემბრის N2502 მომართვაში წარმოდგენილ მოქალაქეებზე მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსზე რიცხული ძირითადი ქონების გასხვისების მიზნით მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.
მომხს: დ. დარჩია
თანამომხს: დ. ჭაკნელიძე

6. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „კოალიცია ქართული ოცნება -ეროვნული ფორუმი“-ს რეგისტრაციის შესახებ.
მომხს: დ. დარჩია
თანამომხს: ე. გორდელაძე

7. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ურეკი-შეკვეთილის ტურისტულ-სარეკრიაციო კომპლექსის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შეთანხმების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.
მოომხს: დ. დარჩია
თანამომხს: ტ. არუშიძე
8. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 დეკემბრის N48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
მომხს: დ. დარჩია
თანამომ: გ. მამაკაიშვილი
9. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, ხეივნების, შესახვევების, ჩიხების, (მოედნების, სკვერების, ბულვარების)მრავალბინიანი სახლების, სადარბაზოების და ბინების ნუმერაციისწესის დამტკიცების შესახებ” ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.
მომხს: დ. დარჩია
10.“მშენებლობის(განსაკუთრებული) მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის გარდა) სანებართვო პირობების შესრულების დადასტურების(ექსპლოატაციაში მიღების)თაობაზე, აქტის გამოცემის (მასში ცვლილების შეტანის) დაჩქარებული მომსახურების მოსაკრებლის გადახდის წესისა და ოდენობის განსაზღვრისშესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.
მომხს: დ. დარჩია

ბიუროს წევრებმა მოისმინეს და განიხილეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს დღის წესრიგით გათვალისწინებული NN 1, 2, 3, 4, 5, 7, 8, 9 , და 10 საკითხები სხდომაზე გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინების შემდეგ შეტანილ იქნას საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

2.რეგისტრირებული იქნას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „კოალიცია ქართული ოცნება-ეროვნული ფორუმი“, რის შესახებ ეცნობოს საკრებულოს მორიგ სხდომას.

სხდომის დასასრულების შემდეგ საკრებულოს თავმჯდომარემ დ.დარჩიამ წევრებს მიწოდა ინფორმაცია მუნიციპალიტეტისათვის ბენზინის შესყიდვაში შექმნილ სიტუაციაზე.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო